საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ბრძანება № 27/16

"23" ივნისი 2016 წ.

ქ. თბილისი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის განსაზღვრის შესახებ

2016 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდის ორგანიზების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების" მე-4 მუხლის მე-2[1] პუნქტისა და 33-ე მუხლის მე-4[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართის სახით განისაზღვროს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს (მ. გაბუნია) ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

3. დაევალოს ცენტრის კანცელარიას (ე. მახარაძეს) ამ ბრძანების გაცნობა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისათვის, სამაგისტრო ჯგუფისათვის (ი.წერეთელი) და ლოჯისტიკის სამსახურის კოორდინატორისათვის (მ.გაბუნია).

4. ბრძანება ამოქმედდეს ,,2016-2017 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობისა და ოდენობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების განსაზღვრის, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და

პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის გრანტის წლიური მოცულობის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობის განაწილების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ძალაში შესვლისთანავე.

დირექტორი **მაია მიმინოშვილი**

დანართი

მიმართულება	ტესტის ტიპი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა)	A
ჯანდაცვა	A
ჰუმანიტარული	A
ხელოვნება	A
აგრარული	A
განათლება	A
სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	A
საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა)	B
ინფორმაციული ტექნოლოგიები	B
ბიზნესი და ეკონომიკა	B
ფიზიკა, მათემატიკა	B
სამართალი	C